№ 4 ყოველდღიური გაზეთი წელიწადი 1. ხუთშაბათი 5 ივლისი, 1912

# ჩვენი ცხოვრება

გაზ. „ჩვენი ცხოვრებ“ ღირს როგორც ქუთაისში, ისე ქუთაისს გარეთ, ერთი წლით—7 მ., ნახევ. წლით—4 მ., სამი თვით ქუთაისში—2 მ. და 50 კ., თვიურათ ქუთაისში—80 კ., ქუთაისს გარეთ—90 კ. ცალკე ნუმრის ფასი ყველგან ერთი შაური. საზღვარგარეთ ორჯერ მეტი [illegible] რამდენიც ქუთაისში ღირს.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით—15 კ. უკანასკნელ გვერდზე—10 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 3 მ., 3 საათს შემდეგ 4 მან. გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები არ ინახება. ამათ შესახებ რედაქცია არავითარ მიწერ მოწერას არ კისრულობს. ერთი თვით ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. ადრესის გამოცვლა პროვინციაში 40 კ.

რედაქციის ადრესი: ქუთაისი, ალექსანდრეს ქუჩა, თევდორაძის სახლში.

? ? ?

ამ წლის პირველი ივლისიდან ქ. ქუთაისში გამოდის ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო ქართული გაზეთი

„ჩვენი ცხოვრება“

გაზეთი წლიურათ ღირს 7 მან., ნახევარის წლით—4 მ., სამი თვით—2 მ. დ 50 კ. თვიურათ ქუთაისში—80 კაპ., ქუთაისს გარეთ 90 კაპ. ცალკე ნუმრის ფასი ყველგან ერთი შაური. საზღვარგარეთ 14 მან. განცხადება პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ. სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა—3 მან. რედაკტორ-გამომცემელი ა. სულაქველიძე.

ფულის გამოსაგზანი ადრესი: Кутаисъ, Юстину Гавріил. Баланчивадзе.

ფულის მიღება შეიძლება მხოლოდ ბალანჩივაძის სახელზე. რედაქციის ადრესი: ქუთაისი, ალექსანდრეს ქუჩა, თედორაძის სახლი, № 6.

მოსკოვის ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს გამგეობა მწუხარებით აუწყებს ამხანაგებსა და ნაცნობებს, რომ დიდი ხნის ავათმყოფობის შემდეგ გადაიცვალა იურიდიული ფაკულტეტის მე-IV-ე კურსის სტუდენტი

**ივანე ზურაბის ძე ფანცულაია.**

პანაშვიდი ყოველდღე, სადამოს ექვს საათზე. მიცვალებულს გამოასვენებენ საკუთარი ბინიდან (ბაღის ქუჩა) და დაკრძალვენ საფიჩხიის სასაფლაოზე, პარასკევს, ნაშუადღევის 4 საათზე.

ნატალია ზაქარიას ასული, ასული მისი ირინა არჯევანიძისა, აზნაური პავლ ანდრიას ძე არჯევანიძე, გერი მისი პოლიკარპე პავლეს ძე გიორგაძე გაუწყებთ რა გარდაცვალებასა პირველი ძვირფასიის ქმრისა, მეორე საყვარლის მამის, მესამე უძვირფასესის სიმამრისა და მეოთხე მამინაცვლისას

**ალექსანდრე ლომკაცის ძის გებუაძისას,**

დაკრძალვა მოხდება ჭივლისის 7-ს, დღით შაბათს, ნაშუადღევის სამ საათზე. უმორჩილესათ სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობებს მობრძანდეთ მესხეთის ქუჩის იურჩემკოვის გადასახვევში, თავის საკუთარ სახლში. პანაშვიდი ყოველდღე სადამოს 7 საათზე.

ქაღალდის პაკეტების ფაბრიკა და სწრაფლ-მბეჭდავი

**გ. ლ. კვერღელიძისა და დ. ვ. რამიშვილისა**

ბათუმში, პეტერბურგის ქუჩა, № 48 რკ. გზ. სადგურ. სიახლოვეს

მიიღება დაკვეთა ყოველნაირი ხარისხისა და ზომის პაკეტებზე: აფთიაქებისათვის კანდიტერებისათვის, საბაკალეინო მაღაზიებისათვის, ხილეულობისთვის და სხ. დაკვეთილი პაკეტები მზადდება ჩქარა და დროზედ კეთილ-სინიდისიერად ნიმუშები პირველ მოთხოვნილებისამებრ.

ფასები ყოველ კონკურენციის გარეშე.

დეპეშის ადრესი: Фабрика Квергелидзе и Рамишвили.

მ—3—1

**უუმჯობესი „ჩვენი გემო“ კვასი.**

დღე არ გაივლის ისე, რომ ჩემმა ნაცნობ-მეგობრებმა საყვედური არ მითხრან: კვასმა „გემომ“ თავისი უწინდელი ღირსება დაკარგა და ეს არ უნდა მოგსვლოდათ. საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ ჩვენ არავითარი საერთო არა გვაქვს „გემოსთან“. ჩვენ, როგორც მისმა დამაარსებელმა და მოხელემ, გავაუქმეთ ის და მის მაგიერ დავაარსეთ **„ჩვენი გემო“** და თუ „გემოს“ სახელით უშვებს ვინმე კვასს, ეს მხოლოდ სიყალბეა. და ამისთვის მაქვს პატივი ვაუწყო პატივცემულ საზოგადოებას, რომ ვისაც აინტერესებს კარგი ღირსების ნადული წყლიდან დამზადებული პურის კვასი, მოითხოვონ ყველგან **„ჩვენი გემო“** და არ აურიონ ის მის მზგავს ფირმებში.

პატივისცემით **მათე გორგილაძე და ამხანაგობა.**

მისამართი: სუდენი ქუჩა, სახლი № 6. 20—3—1

**მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის**

გაზეთი

წელიწადი მეორე **„თემი“** წელიწადი მეორე

ფასი გაზეთისა: წლიურად—2 მ. 50 კაპ. ნახევარი წლით—1 მ. 25 კაპ. ერთი თვით—25 კაპ. რედაქციის და კანტორის ადრესი: Дворцовая 6, редакція газеты „ТЕМИ“. რედაქტორ-გამომცემელი გრ. დიასამიძე

**ექიმი ირ. ციხანოვსკი** ლებულობს შინაგან, საშარდე, სასქესო, ვენერიულ სენით და სიფილისიან ავათმყოფებს დილის 10—12 საათ. სადამოს 5—7 საათამდე.

ადრესი: კარავან სარაისა და მიხაილოვის ქუჩების კუთხე, სასტუმრო „ლონდონი“.

**ექიმი მ. მგალობლიშვილი** იღებს ბავშთა, შინაგან და საბებიო სნეულ ავადმყოფთ, დილის 10—1 საათ. საღ. 5—7.

გაგარინის ქ. № 5, პოლიცმეისტრის კანცელარიის გვერდზე. 3—თ.

თფილისი, ნაძალადევი.

**ექიმი კბილისა**

ა. (გ) ბ. დოლიძე გადავიდა ნაძალადევში რკ. გზ. ხიდის ახლოს ჩერქეზოვის ქუჩაზე № 145, ბ. დვალიძის სახლში.

**სწამლობს კბილისა, ღრძილისა და პირის ავათმყოფობას,** აგრეთვე აკეთებს პლომბებს, სწმენდს და აცილებს კბილის ქვას, იღებს უვარგის კბილებსა და ფესვებს და უდგამს ხელოვნურ კბილებს, დილის 8—2 ს-მდი და საღ. 4—7 საათ. მ—3—1

**Курсистка** Моск. Высш. Жен. Курс. репетируетъ по всѣмъ предметамъ, (долголѣтняя практика) специальность русск. яз. и литература. Ивановская ул., близъ нагорнаго участка, д. Оганезовыхъ. Спросить Астафьеву.

**ზონში**

მიიღება ხელის მოწერა სარედაქციო ფასებში გაზეთ

**„ჩვენი ცხოვრება-ზე“**

**ს. ჩირგაძის ტყავეულობის მაღაზიაში, სამკითხველოს გვერდით.**

გვყავს გაზეთის საკუთარი დამტარებელი. მსურველთ შეუძლიათ მიიღონ გაზეთი თავიანთ ბინაზე.

## პროგრესისტების პარტია

რუსულ პრესაში და პოლიტიკურ წრეებში შედარებით დიდ ყურადღებას აქცევენ ამ ბოლო დროს ე. წ. პროგრესისტების გამოსვლას, რომლებიც უპარტიო პროგრესიზმის სახელით მეოთხე დუმის არჩევნებში ჩარევას აპირებენ. მათ უკვე დააარსეს ცენტრალური და ადგილობრივი საარჩევნო ორგანიზაციები და გულმოდგინეთ ეწევიან საარჩევნო აგიტაციას.

ვინ არიან ეს პროგრესისტები?

რა გვარი საზოგადოებრივი და პოლიტიკური იდეალები ასულდგმულებს მათ?

ცენტრს, რომლის გარშემოდაც ირაზმებიან ახალი ჯგუფის წევრები, მე-3-ე დუმის პროგრესისტთა ფრაქცია შეადგენს. ამ ფრაქციას ხუთი წლის განმავლობაში მაინცადამაინც არაფრით უსახელებია თავი. დუმაში ის ხშირათ ოპოზიციას უჭერდა მხარს, მარა იყო აგრეთვე ისეთი მომენტები, როცა იგი მას შორდებოდა. ეს ფრაქცია გარდამავალ საფეხურს შეიცავდა კადეტებიდან ოქტომბრისტებისაკენ და პირიქით. თუ არ ვცდებით, პირველათ ამ ფრაქციას დუმაში სულ რაღაც 13 წევრი ყავდა, შემდეგ იზარდა და 30-მდი ავიდა.

საიდან შეემატა მას ეს ძალა?

უმთავრესათ, თუ მთლათ არა, ოქტომბრისტების წრიდან. „ხელმძღვანელი“ პარტიის ლაქიობით უკმაყოფილო ელემენტები პროგრესისტთა ბანაკში გარბოდენ. ეს გარემოება რამდენიმეთ ფარდას ხდის პროგრესისტების პოლიტიკურ ფიზიონომიას.

ის გამომხატველი იყო უუზომიერესი ოპოზიციისა.

მაშასადამე, პროგრესისტები არც ისეთი უცნობი ვინმე არიან ჩვენთვის, როგორც, ეს შეიძლება, მკითხველს ეგონოს.

მაშ, რით აიხსნება ის განსაკუთრებული ინტერესი, რომელიც საზოგადოებამ მათდამი გამოიჩინა უკანასკნელათ?

ვგონებთ მხოლოდ იმით, რომ ჩვენი ძველი ნაცნობები—პროგრესისტები ცდილობენ დაეყრდნონ განსაზღვრულ საზოგადოებრივ ჯგუფს, რომელიც აქამდი პოლიტიკურ ცხოვრებაში სულ არ, ან ნაკლებათ ღებულობდა მონაწილეობას და გახდენ მისი კლასიური ინტერესების შეგნებული გამომხატველნი.

დღეს ყველასათვის აშკარა უნდა იყოს ის ფაქტი, რომ კადეტებისა და ოქტომბრისტების პარტიები არ შეიცავენ პოლიტიკურათ მკაფიოთ ჩამოყალიბებულ ორგანიზაციებს. ოქტომბრისტები წარმოადგენენ მემამულეებისა და მსხვილი ბურჟუაზიის ბლოკს. თავისი სოციალური შედგენილობით არც კადეტების პარტია შეიცავს ერთგვარი ელემენტების კრებულს. ამ პარტიაშიც შედიან ისეთი ელემენტები, რომლებიც პოლიტიკური ცხოვრების განვითარებასთან ერთად ერთმანეთს დაშორდებიან. ამით აიხსნება ის მუდმივი ქანაობა ხან მარჯვნით და ხან მარცხნით, რომელსაც კადეტების პარტია განიცდის. მისი უპრინციპობა შედეგია მისი სოციალური შედგენილობის სიჭრელის. კადეტების პროგრამაცოტათ თუ ბევრათ დემოკრატიულია, არჩევნებშიც მათ მომხრეთა უმთავრეს კონტინგენტს ქალაქის დემოკრატია შეადგენს, მარა თვით პარტიაში არიან ისეთი ელემენტები, რომელთაც სულითა და გულით ეზიზღებათ დემოკრატია და ეტრფიან უუზომიერეს ბურჟუაზიულ ლიბერალიზმს. კადეტების მემარჯვენე და მემარცხნე ფრთა გამოხატულია ამ ორი სხვადასხვა სოციალური ჯგუფის სულიერ განწყობილებისა და პოლიტიკური მისწრაფების.

ეს ერთი.

მეორე მხრით—ოქტომბრისტებმა ვერ გაამართლეს მსხვილი ბურჟუაზიის მოლოდინი. ეს პარტია საუცხოვო შეიქნა ლაქიის როლში, როგორც მემამულეთა და ბიუროკრატიის ყურმოჭრილი მონა, მარა, როგორც ქვეყნის განმაახლებელმა, მან სრული სიკოტრე გამოიჩინა. პარტიაში მეთაურობა ერგო მემამულეებს და ამიტომ გეგემონიაც მათ ხელში დარჩა. აქედან—უკმაყოფილება ოქტომბრისტებით და, საზოგადოთ, 3 ივნისის დუმით ვაჭარ-მრეწველთა წრეებში. აქედან—საჭიროება ისეთი ჯგუფის შექმნისა, რომელიც უფრო კარგათ დაიცავს კაპიტალის ინტერესებს და მემამულეთა უბრალო კუდათ და მაჩანჩალათ არ გადაიქცევა.

მარა კითხვა იბადება: სად, რომელ პოლიტიკურ ბანაკში უნდა შეაფაროს მან თავი?

კადეტების პარტია მისთვის მეტის მეტათ „დემოკრატიულია“, ოქტომბრისტები მას არ აკმაყოფილებს, დარჩა საშვალო პოზიცია—და აი ამაზე უნდა შედგეს ის. ზომიერი ლიბერალიზმი—აი მისი დროშა ასეთი დროშის მატარებელი არიან პროგრესისტები—და ბურჟუაზიის უკმაყოფილო ელემენტების პარტიული და პოლიტიკური სიმპატიებიც აქეთკენ იხრება. ეს აშკარათ დამტკიცდა ამ უკანასკნელ ხანებში. პროგრესისტების კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს მოსკოვის რაიონის ვაჭარ-მრეწველთა თითქმის ყველა წარმომადგენლებმა. ეს იმას ამტკიცებს, რომ, რამდენათაც დღევანდელ ისტორიულ პირობებში რუსეთის ვაჭარ-მრეწველთა კლასი პოლიტიკურათ გამოირკვევა, იმდენათ მისი თანაგრძნობა ზომიერ ლიბერალიზმის მხარეზე იქნება. ამასთან პროგრესისტების მიმზიდველი ძალა ორი მხრით იმოქმედებს—ის შეიერთებს ოქტომბრისტების მემარცხნე ელემენტებს და კადეტებს ჩამოაცლის მის მემარჯვენე ნაწილს. ეს ტენდენციაც უკვე საკმაოთ გამოირკვა: მცირე რიცხოვანი მემარცხნე ოქტომბრისტები პროგრესისტებთან ერთად ფიქრობენ არჩევნების დროს გამოსვლას; რაც შეეხება კადეტებს—ბევრი მათი წევრი პირდაპირ მონაწილეობას იღებს პროგრესისტთა ორგანიზაციებში, ხოლო პარტიულმა კონფერენციამ მემარჯვენე ელემენტების გავლენით მიიღო დადგენილება—ზოგიერთ შემთხვევებში ადგილობრივი საარჩევნო კომიტეტები პროგრესისტებთან ერთათ შექმნან.

ამნაირათ, პროგრესისტთა ჯგუფმა უნდა დაიჭიროს პოლიტიკურ სივრცეში ის ცარიელი ადგილი, რომელიც არსებობდა დღემდი კადეტებსა და ოქტომბრისტებს შუა.

ყველაფერი ეს იმას ამტკიცებს, რომ, ადრე თუ გვიან, პროგრესისტთა პარტია უნდა გახდეს კაპიტალისტთა პარტიათ, რომელიც იქნება ზომიერი ოპოზიციის გამომხატველი. მართალია, პროგრესისტებს ჯერ-ჯერობით არ აქვთ გარკვეული პროგრამა და ტაქტიკა, მარა კლასიური ბრძოლის ლოღიკა აიძულებს მათ—ნათელყონ როგორც ერთი, ისე მეორე. შემცდარია ის აზრი, თითქო უპარტიო პროგრესისტობა იმ სახით, რა სახითაც იგი დღეს რუსეთს მოევლინა, პოლიტიკურ ცხოვრებაში გაურკვევლობის მოასწავებს. თუ მხედველობაში მივიღებთ არა მის დღევანდელ სახეს, არამედ მის მოსალოდნელ განვითარებას, დავინახავთ, რომ ეს ასე არ არის. პირიქით, იგი პირდაპირი შედეგია საზოგადოებრივი ცხოვრების დიფერენციაციის, და, როგორც ასეთს, პოლიტიკურ ცხოვრებაში მეტი გარკვეულობა და სიმარტივე შეაქვს.

## ახალი ამბები.

გუშინ, 4 ივლისს, ჩვენს რედაქციაში შემოვიდა ბ. კ. ველიჩკოვი, ბულგარელი მწერალი, რომელიც ნაძლევით შეკვრია თავისი ქვეყნის ჟურნალისტთა საზოგადოებას, რომ 70 ათას ვერსს ფეხით გაივლიო. ნაძლევი ყოფილა 250 ათასი ფრანკი, ჩვენებურათ 90 ათას მანეთამდე. ბ. ველიჩკოვს მოგზაურობა 1903 წ. 8 იანვარს დაუწყია—და ამ ერთ თვეში კიდეც დაასრულებს. 1904 წ. იგი ყოფილა შორეულ აღმოსავლეთში, ინგლისისა და ბურების ომის დროს ტრანსვაალში (აფრიკა); ამ ბოლო ხანებში ოსმალეთ-იტალიის ომიც თავის თვალით უნახავს ტრიპოლისში. მოგზაური სრულიად ჯანსაღათაა და მკვირცხლათ გამოიყურება; იგი ერთობ ემადლიერება ქართველებს სტუმართმოყვარეობისათვის. დღეს, ნაშვადღევს, ფეხით გასწევს კახეთისაკენ და იქიდან ნაძლევმოგებული რკინის გზით დაბრუნდება სამშობლოში.

✦ ქუთაისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე **ბ-ი ფედოროვი** ორი თვით დასასვენებლათ რუსეთს გაემგზავრა.

✦ ქუთაისის საოლქო სასამართლოში (სისხლის სამართლის განყოფილებაში) ამ თვის მიმდინარეობაში გაირჩევა შემდეგი საქმეები. 17 ივლისს—გაასამართლებენ ბართლომე კოტორაშვილს და ბესარიონ ტორაძეს. ბრალდებათ ცარცვაგლეჯა. ასამართლებენ სისხლის სამართლის დებულების 1642 მუხლის ძალით, ამავე დღეს გაასამართლებენ ალექსანდრე ფხაკაძესა და იაკობ სურმავას. ორივეს სისხ. ლის სამართლის დებულების 1455 მუხ. ძალით. 24 ივლისს გაასამართლებენ: სერგო მემარნიშვილს, ანა ლუჩინინას და იაკინთე გოგიძეს. პირველს 1484 მუხ. ძალით, მეორეს 1692 მუხ. და მესამეს 1591-ით. 31-ს პარმენ ბოჭორიშვილს და კოსტა გურასოვს, პირველს 373 მუხ. ძალით და მეორეს 354-ი მუხ. ძალით.

✦ თფილისის დრამატიულ საზოგადოების გამგეობას მომავალ წარმოდგენების სეზონისთვის დასში სამუშაოთ მოუწვევია ქუთაისის დასის მსახიობი ბ-ნნი **იმედაშვილი** და **ზარდალიშვილი.**

✦ პირველი რაიონის სახალხო სკოლების ინსპექტორი **ბ-ნი კარპოვი** ქუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაისიდან უკვე გაემგზავრა ხონში მასწავლებელთათვის საცდელ გაკვეთილების მოსაწყობათ.

✦ 8 ივლისს ქუთაისის საპყრობილედან რუსეთის სხვადასხვა გუბერნიაში იგზავნება 20 პოლიტიკური ტუსაღი.

✦ 7 ივლისს ოზურგეთში დანიშნულია დიდი სახალხო სეირნობა მიწათმოქმედობის და მიწათ-მომწყობი სამეურნეო საზოგადოების სასარგებლოთ.

✦ ქუთაისის საქალაქო ბიბლიოთეკა-სამკითხველომ უკვე მიიღო ის 2000 მან. წიგნები, რომლებიც ამას წინად გამოიწერეს. 700 მოზდილი წიგნი სამკითველოსი უკვე იკინძება.

✦ **უსუფთაობა** ე. წ. ხონის საბაჟო მოედანი ქუთაისში ძალზე უსუფთაოთაა შენახული. მთელი მოედანი, სადაც ხონიდან ეტლები ჩერდება, საქონლის განავალითაა ავსილი. მიკვირს ამ გარემოებას რათ არ აქცევენ ჯეროვან ყურადღებას.

✦ როგორც გაზ. „კავკაზს“ აცნობებენ, დღეს, 5 ივლისს თფილისს დაბრუნდება კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწე ბ. **ვატაცი.**

✦ მსახიობი შალვა დადიანი და მხატვარი კოტე ქავთარაძე ეპირებიან ახლო მომავალში გამართონ ქუთაისში საღამო გადაცვალებული **იაკობ გოგებაშვილის** პატივსაცემათ.

✦ რედაქციამ მიიღო შემდეგი წიგნი, ზ. ჭიჭინაძის-მიერ გამოცემული: „ქართველ კათოლიკეთა სამშობლო ქვეყნის მოღვაწეები—**მიხეილ პეტრეს ძე თამარიშვილი**“.

✦ ქუთაისის გუბერნატორმა ნება დართო წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას გახსნას ს. გოჩა-ჯიხაიშში სამკითხველო.

✦ 3 ივლისს საღამოს აბასთუმანიდან ცნობა მოვიდა—იქ გადაცვლილა ქუთაისის შეძლებული მოქალაქე, რამდენიმე წლით ქალაქის საბჭოს ხმოსნათ ნამყოფი **ივანე ზურაბის-ძე ზველესიანი**.

✦ ქალაქის თავი **ი. ჩიქოვანი** ამ რამდენიმე დღის შემდეგ ორი კვირით დასასვენებლათ გაემგზავრება სოფელში.

✦ აბრეშუმის პარკის შემოტანა ბაზარზე შემცირდა. გამოირკვა, რომ გასულ წელთან შედარებით წელს პარკის მოსავალი ნაკლები ყოფილა.

✦ **თათრებსა და სომხებს შორის შეტაკება**. როგორც გადმოგვცემს გაზეთი „**მშაკი**“, ამ დღეებში ს. კუსაპატში შეტაკება მოუხდა თათრებს და სომხებს. შეტაკება გამოუწვევია საბალახო ადგილის საკითხს. თათრები თავიანთ პირუტყვებს აძოვებდენ სომხების ადგილ-მამულში. სომხებს თავიანთ მინდვრებიდან გადაურეკიათ თათრების საქონელი. ამ დროს თათრებს ჩხუბი აუტეხიათ სომხებისთვის. შეტაკების დროს თათრებს ხანჯლებით დაუჭრიათ რამდენიმე სომეხი, სომხებს სროლით უპასუხიათ და მოუკლავთ ერთი თათარი.

✦ სამ ივლისს ძველი გელათის ქუჩაზე გამომძიებელმა დაკითხა რამდენიმე პირს, თუ რა იციან მათ ელიგულაშვილის მკვლის შესახებ. მას თან ახლდა ბოქაულის თანაშემწე და მაძიებელ პოლიციის უფროსი.

✦ ორ ივლისს გადაიცვალა ქიათურის საქალაქო სასწავლებლის მასწავლებელი დავით ქუმბურიძე. განსვენებული დიდათ პატიოსანი ახალგაზდა იყო.

✦ ს. ნაგომარიდან დეპუტაცია ჩამოვიდა გუბერნატორის წინაშე საქალაქო სასწავლებლის გახსნის სათხოვნელათ.

### თფილისი

ქალაქის გამგეობამ დაწესებულებათაგან უკვე მიიღო იმ მოსამსახურეთა სიები, რომელთაც არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ. ამ სიების მიხედვით, გუშინ შუადღემდი, გამგეობამ საერთო სიაში შეიტანა 89 კაცი, ხოლო რუსულ კურიისაში—229.

— ქალაქის გამგეობამ უკვე დაასრულა იმ პირთა სიების შედგენა, რომელთაც ქონებრივი ცენზი აქვთ.

✦ სამკურნალო ნაწილის სამოქალაქო განყოფილებამ ქალაქის გამგეობას აცნობა: ბაქოს გუბერნია ამ ჟამათ ხოლერის მხრით საშიშოთ არის აღსარებული; ამას გარდა ასტრახანში კიდევ არის ხოლერა, რომლის გადმოსვლა თფილისშიც შესაძლებელიაო. ამიტომ საჭიროა, თვალყური ადევნონ ბაქოდანა და ასტრახანიდან თფილისში მოსულთაო.

✦ თფილისში დაარსდა ახალი სავაჭრო საზოგადოება ,,კოსმოპოლიტის“ სახელით. საზოგადოების მიზანია: პირველ საჭიროებათა ნისიათ გაცემით დაეხმაროს იმ ხელმოკლე მშრომელ პირთ, რომელნიც თავიანთი მუშაობით ცხოვრობენ. (,,ს. გ.“)

### ფოთი

კვირას, 1 ივლისს, ნაშუადღევის 3 საათზე, ფოთიდან სუფსაში მიმავალ ამხანაგობის დილიჟანსს გრიგოლეთსა და სუფსას შუა, თავს დაესხა 5 შეიარაღებული ყაჩაღი. მათ მგზავრებს აუტეხეს სროლა. მეეტლემ დილიჟანსი გააჩერა. მგზავრების უმრავლესობა შიშმა შეიპყრო. დილიჟანსში აღმოჩნდა ხე-ტყის მრეწველი კვარცხავა, რომელმაც, მგზავრების სიტყვით, ერთ თავდამსხმელთაგანს წაართვა რევოლვერი და მათვე აუტეხა სროლა. სროლაზე თავდამსხმელები გაიქცენ. ამბობენ, ერთი მათგანი კიდეც დაიჭრა ფეხშიო. როგორც გამოირკვა, ხსენებულ ხე-ტყის მრეწველ კვარცხავას თანა ქონებია 900 მ. ფული. მგზავრები უვნებლათ გადარჩენ. იმავე დღეს ფოთისა და სუფსის პოლიცია გამოუდგა თავდამსხმელთ და ტყეში იქვით შეიპყრეს ორი პირი.

✦ ამ დღეებში ადგილობრივმა პოლიციამ შეიპყრო ქუთაისის მაზრის მცხოვრები გიორგი ნესტორის ძე ჯალაღანია, რომელიც აღმოჩნდა გამოქცეული კატორღელი. ხსენებული ჯალაღანია თფილისის სამოსამართლო პალატის 16 მაისის 1911 წლის განაჩენით კატორღაში 6 წლით ყოფილა გაგზავნილი.

✦ ნ. ნიკოლაძის მეთაურობით აქ არსდება გაზეთის გამომცემელი ამხანაგობა. გაზეთისთვის საარსებო საშვალება უნდა მოგროვდეს პაებით, რომელიც თითო 100 მანეთად ღირს. ინიციატორთ განზრახული აქვთ შეაგროვონ არა ნაკლებ 10,000 მ. ხელის მოწერას უკვე შეუდგენ. გაზეთი ინიციატორთა განცხადებით, იქნება ,,უპარტიო“. გაზეთი გამოვა 1 სექტემბერს რუსულ ენაზე. ამხანაგობასა და გაზეთს ერქმევა „Ріонъ“-ი.

„**ახალი პანამა**“. ამ უკანასკნელ ხანებში ბევრს ლაპარაკობენ აქ ეგრეთწოდებულ „ახალ პანამაზე“. ეს „ახალი პანამა“ ბევრ მითქმა—მოთქმასა იწვევს ხოლმე. ის ეხება ადგილობრივ საურთიერთო საზოგადოების საბჭოს. რამდენიმე წლის წინ ხსენებულ საზოგადოებაში ბლომად გაუფლანგავთ ფული სხვა და სხვა თანამდებობის პირთ, მაგრამ ფოთელებს ჩვეულებრივათ ეგ დაივიწყებისთვის მიუციათ. ეხლა კი „ვილაცას“ მოუსურვებია დამარხულ ძაღლის თავის ამოგორება. ამბობენ—სწარმოებს გამოძიება და მოსალოდნელია ბევრი ადგილობრივი „მოღვაწე“ იქნეს სასამართლოში მიცემულიო.

ადგილობრივ ვაჭართა ერთმა ჯგუფმა შუამდგომლობა აღძრა ქუთაისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის წინაშე, დაარსებულ იქნას მეორე ნოტარიუსის თანამდებობა, რადგან მთხოვნელთა აზრით მაშინ ეხლანდელ ნოტარიუსის ბ-ნ **გვალიას** განუსაზღვრელ მადას ფრთა შეეკვეცება და შესაძლოა რუსეთში არსებული ტარიფი აქაც იქნეს შემოღებულიო. ეხლა კიო, ამბობენ ხსენებულ შუამდგომლობის ავტორნი, აქ არ არსებობს არც არავითარი ტარიფი და ნოტარიუსი გვალია გვახდევინებს იმდენს, რამდენიც მოესურვებაო. ასე რომ, განსხვავება იმდენათ დიდია, რომ ჩვენ, ამბობენ ისინი, ვარჩევთ დღე გავაცდინოთ და სენაკსა ან ქუთაისში ვიაროთ საქმეების გასაკეთებლათ, რადგან ეს უფრო იაფათ გვიჯდებაო. თუ ამ თხოვნის დაკმაყოფილებას შეუძლებლათა სცნობთო, ამბობენ ავტორები, მაშინ მიიღეთ ზომები ბ-ნ **გვალიასათვისაც** იქნას შემოღებული რამე ნორმებიო.

## რომი.

### წითლები და ყვითლები.

(გაზეთებიდან)

იწყება გახურებული მუშაობა იტალიის სოფლებში და მებრძოლი რომანია (პროვინცია) მით ატყობინებს ამას ქვეყანას, რო ჩაღდება შეტაკებები და ხშირათ სისხლის ღვრაც რესპუბლიკანელებსა და სოციალისტებს შორის.

ეს არის—ახლა დაიწყო თიბვა, პურის გალეწვამდი ჯერ კიდევ ბევრი დროა, მაშინ უმწვერვალეს განვითარებას მიაღწევს, მარა გაზეთების ფურცლები უკვე აჭრელებული ნობებით წითლებს და ყვითლებს შორის მომხდარ შეტაკებების შესახებ.

რომანიაში კვლავ ჩაღდება დაუზოგავებელი ბრძოლა, რომელსაც ხშირათ თან სდევს ბევრი დრამატიული მომენტები.

ცალკე აქ არავინ მოქმედებს, ყველა შეკავშირებულია—თანახმათ სხვა და სხვა ეკონომიური ინტერესებისა, აშკარათ დაპირდაპირებულია კლასი-კლასის წინააღმდეგ. წინააღმდეგობის გაღვივებას და ჩამოყალიბებას ხელს უწყობენ გარკვეული პარტიული პროგრამები და იდეალები.

და სწორეთ ამის გამო ასე მწარე საგრძნობელი ხდება ეკონომიური ხასიათის ყოველგვარი შეტაკება.

პირველივე ცნობა შეტაკებისა და დაჭრილების შესახებ ფეხზე აყენებს საზოგადოებას, ის ელვის სისწრაფით ედება მთელ ქვეყანას, მიყრუებულ კუთხებსაც კი. სხვაფრივ არც კი შეიძლება მოხდეს, სადაც რომელიმე სანტა—აგათის ოთხი ათას მცხოვრებში მხოლოდ ერთადა მონარქისტი—კონსტიტუციონალისტი ურევია და ისიც სხვაგნიდან გამოგზავნილი ექიმია, დანარჩენი მცხოვრებნი ან სოციალისტებს ეკუთვნიან, ან და რესპუბლიკანელებს; აქა-იქ თითო ოროლა ანარქისტიც არის.

აქ სიტყვა „უპარტიო“ საძულველი სიტყვაა. ყველამ იცის, თუ რა გაჭირება გამოიარა ზოგმა დღიურ ქირაზე მომუშავემ, რომლებმაც განზე გადგომა არჩიეს და პარტიულ ორგანიზაციებში [illegible] მიიღეს, მათ სდევნიდენ სოციალისტები, რესპუბლიკანელები, კათოლიკები. არ აძლევდენ არავითარ სამუშაოს. და თუ მუნიციპალიტეტი არ დაეხმარება, ასეთი პირები უნდა გამოეთხოვონ ამ პროვინციას და სხვაგან ეძებონ თავშესაფარი.

აქ პარტიობა ეტყობა ყველაფერს, ყოველგვარი ურთიერთობა მისით განისაზღვრება. გაიარეთ რომანიის სოფლებში და ყველგან ნახავთ ორ კლუბს: სოციალისტებისას და რესპუბლიკანელებისას, იხილავთ მათ სრულ განცალკევებას და მერე როგორ განცალკევებას! ხშირათ მათ შორის გაწყვეტილია ყოველგვარი დამოკიდებულება და ერთმანეთს წყალსაც არ მიასხმენ.

გაივლის თუ არა კონფლიქტების დრო, ორივე მხარე დროებით ზავს აგდებს და ერთად სდევნიან შტრეიკბრეხერებს. მარა ეკონომიური განვითარება თანდათან უფსკრულს ავლებს ამ ორ პარტიას შორის.

წითლებში უმეტესობას მოჯამაგირეები შეადგენენ, ყვითლებში მოიჯარადრენი, ე. ი. მენახევრეები, რომლებიც საზიაროთ იღებენ მემამულის მიწებს დასამუშავებლათ. დიდი ხანი არაა მას აქეთ, რაც ისინი ხელიხელ ჩაკიდებული მოქმედებენ ეკონომიური ბრძოლის დროს. მარა აი მრავალრიცხოვანი დღიური მუშები, უმუშევრობით შევიწროებულნი, შეეცდენ თავისი მდგომარეობის გაუმჯობესებას. მარტო ქირის მომატება მისთვის არ კმაროდა. იმ დროს, როცა ყველაზე უფრო გახურებული მუშაობა იყო, ის ხშირათ უსაქმოთ რჩებოდა, რადგან მოიჯარადრეებში გავრცელებულია ამ დროს ჩვეულება დახმარებისა. მოჯამაგირემ მოითხოვა ამ ჩვეულების გადაგდება. თუ საკუთარი მუშა ხელი არ ეყოფის მენახევრეს, დე, მოჯამაგირე დაიქირაოსო. რასაკვირველია, მენახევრე ამის წინააღმდეგ უნდა წასულიყო, რადგან მას ზედმეტი ხარჯები ემატებოდა, ამიტომ მოჯამაგირეებმა პირველ მოთხოვნას მიუმატეს მეორე—რომ ნახევარი ხარჯი ადგილის მესაკუთრეს გადაეხადა და მამულზე შეწერილი გადასახადი მთლათ მას გაესტუმრებია.

გაჩაღდა გაფიცვა, ბოიკოტი და ბოლოს გამარჯვება მოჯამაგირეებს დარჩათ. მას ახლა მოიჯარადრე—მენახევრე სამუშაოს მიმცემი გახდა.

შემდეგ თავის კოოპერაციით ზურგგამაგრებულმა მოჯამაგირემ მოითხოვა, რომ სალეწი მანქანა მხოლოდ მის კოოპერაციას ქონებოდა

# ფელეტონი

## დამნაშავე ცხოვრება.

I.

ვნახე ქუჩა... თოფით ხელში იდგა კაცი ბნელ კუთხეში
მსხვერპლს უცდიდა ავაზაკი, რომ მიერტყა ტყვია მკერდში.
მისთვის ყველა ერთი იყო, მოხუცი, თუ ახალგაზრდა,
არაფერი არ ახსოვდა ოქრო-ვერცხლის, ფულის გარდა.
ვკითხე ქუჩას:—კაცი რომ მგლათ გიქცევია, ვითომ რაა?!
მან მომიგო:—არ მაქვს ბრალი: დამნაშავე ცხოვრებაა.

II.

ვნახე ქუჩა... კაცი ვინმე თავდახრილი დადიოდა,
საიდუმლოთ ყურს უგდებდა, თუ ვინ რასა სჩადიოდა.
მტერი იყო სინათლისა, ბნელეთის მცველს სცემდა თაყვანს,
ძმათ ღალატი, ძმათ გაცემა შეადგენდა იმის საგანს.
ვკითხე ქუჩას:—კაცი სულით გაგიხრწნია, ვითომ რაა?!
მან მომიგო:—არ მაქვს ბრალი: დამნაშავე ცხოვრებაა.

III.

ვნახე ქუჩა... ვიღაც ქალი, ფერმიხდილი. თვალმიმქრალი,
დახეული, დაფლეთილი, სარდაფის წინ იდგა მთვრალი.
ყველას, ვისაც თვალს მოკრავდა, ეძახოდა, პატიჟობდა,
სამარცხვინო თვის საქციელს უპედური ვერც კი გრძნობდა.
ვკითხე ქუჩას:—ეს ბედკრული რომ მოგიკლავს, ვითომ რაა?!
მან მომიგო:—არ მაქვს ბრალი: დამნაშავე ცხოვრებაა.

IV.

ვნახე ქუჩა... კურტნით მუშა, წელში ოთხათ მოკეცილი,
მძიმე ტვირთს ქვეშ პირის ოფლათ დნებოდა, ვით ცეცხლზე ცვილი.
შლივს იძროდა, ძლივს სუნთქავდა, კვნესდა ბედის უმადური:
„მუდამ ვშრომობ... მუდამ ოფლს ვღვრი... მაინც მიჭირს ლუკმა პური?“
ვკითხე ქუჩას:—ბედშავ მუშას რომ აწამებ, ვითომ რაა?!
მან მომიგო:—არ მაქვს ბრალი: დამნაშავე ცხოვრებაა.

**ჩახრუხაძე.**

## მე კაცისა.

მოთხრობა.*

რა მოგვიტანე ახალი გიორგი? დაეკითხა გიორგის ბორკილებში მყოფი მუშა ქერქაძე და მხარს ჩამოაწვა, თავი წამოყო.

— არაფერი ახალი არ არის, ნოე!
— ჩხუბის აფერი იყურება?
— არა, არაფერი!
— რავა არა, იაპონე ისევე აპირობს ჩხუბსო?..

— თუ შენ იცი, მე რაღათ მეკითხები! მკვახეთ უპასუხა ეს და წამსვე იგრძნო საყვედური თავის თავისადმი, წამსვე დააფასა საკუთარი პასუხი. განა იმიტომ არ გასცა ასეთი პასუხი ამხანაგს, რომ ტკბილი ოცნებიდან არ უნდოდა გამოსულიყო? განა იმიტომ არ მოიქცა აგრე, რომ მას ეხლაც, ამ საკანშიც სურდა ნინასთან ყოფნა და მასთან მუსაიფი? ეგოისტია ოხერი ადამიანი. ეგოისტია გიორგი, განა მან არ იცის, რომ ყველა ამ ტუსაღებში ნოე ქერქაძე უფრო იტანჯება, უფრო იპყრობს მას შავი სევდა—ფიქრები, უფრო ბნელით არის მოცული მისი მომავალი, ამ დავიწყებული და მიტოვებული ადამიანის? და იმიტომ, რომ შეყვარებულსა და გახალისებულ გიორგის სურს ერთხანს კიდევ ანებივროს მისი გული, ამიტომ მან ასეთი პასუხი გასცა ამხანაგს. ეგოისტია ოხერი ადამიანი!

გიორგის პასუხზე ერთ ორს გაეცინა. ქერქაძე კი, თითქოს ვინმემ გულზე ხელი ჰკრაო, ისე მწოლარე დაქანდა უკან, ბორკილები ააჟღარუნა. და გიორგის არ გამოეპარა არც ეს მოძრაობა. მას შერცხვა.

— ბიჭო, ნოე! დაუძახა ქერქაძეს მეორე მუშამ, მიხამ: ადექი და რაც იქნესიქნეს. მიეცი თხოვნა.

— რა თხოვნა? გამოეძახა ქერქაძე.

— რა თხოვნა და აი რა: დიდი თავი ყვიგდე ჩემი ბატონ-პატრონების წინააღმდეგობა რომ გავბედე, შემინდვეთ, მაპატიეთ და მითაჟამში თქვენი მონა და მორჩილი ვიქნებითქვა.

— და გაგიშვებენ საბალახოზე ვითარცა ვირს.. დაუმატა მუშა კოწიამ.

— მერე და თქვენ ვინ გითხრა ქერქაძეს ამფერი თხოვნის მიცემა უნდაო! ამ სიტყვებზე ის წამოჯდა.

— კოჭებში გეტყობა ამხანაგო ნოე! აბა რაზე კითხულობ ასე წამის-წამ—იქნება ომი, თუ არაო?

— ჰო, რაზე ვკითხულობ?

— რაზე და გაგონილი გაქ ამხანაგო—იაპონიასან ომის დროს ტუსაღებს წინადადებას აძლევდენ—წადით ომში და გაპატიებთ ცოდვებსო. ახლაც ასე იქნება გგონია.

— შენმა სიცოცხლემ...
— არა, არ არის მართალი?
— ისე მართლათ იარე შენ...
— არა, მამა გიცხონდება, თქვი...

— ბიჭო, მიხა, გახსოვს შენ ნოე გარეთ? იკითხა კოწიამ.

— როგორ არა... ათი კაცის ღონს მაგი უყვიროდა... ციხემ გასტეხა ყაძახი თვარა..

— გამტეხა... კი არ გამტეხა მარა.. თქვენ იცით რამდენი სული სარჩენი დამრჩა სახლში? მოხუცებული დედა და სამი გასათხოვი გოგო—ჩემს მეტი კი არ კაცი... მე კი ოთხი წელიწადი კატორღა.

— მერე და გულის გატეხით, ამხანაგო, რას გახთები? შეცვლილი, ეხლა თანაგრძნობის კილოთი უთხრა მიხამ და თითქოს შერცხვაო დაწყებული ლაზღანდარობის, მიყუჩდა. მოკიდა რუსულ გრამატიკას ხელი და დაიწყო კითხვა. სხვებიც მიყუჩდენ.

— რას ნიშნავს გიორგი სიტყვა „მეტისი?“ იკითხა ერთმა ტუსაღმა რომელიც აქამდე კითხულობდა და არ ერეოდა ლაზღანდარობაში.

— ორი სხვა და სხვა ჯიში რომ შეუღლდება, ამ შეუღლების ნაყოფს ქვია მეტისი. მაგალითად ჯორი მეტისია.

— ხა, ხა, ხა! უცებ გადიხარხარა ტუსაღმა იონამ და მის გვერდში მთვლემარე ტუსაღ დუტუ რევიას გვერდში ხელი ჰკრა.

— რაი დაგემართა შე კაცო! წამოიძახა გაჯავრებულმა დუტუმ.

— შენ იცი, ბიჭო რევია, რას ქვია მეტისი? ჯორს ქვია, ბიჭო, ჯორს!

— ჯორიც კი ხარ და ვირიც... თავი დამანებე!

— ესე იგი, ბიჭო დუტუ, ჰკაკი ცხენი რომ ვირს სიყვარულს გამოუცხადებს...

— გაჩუმდი შე ღორო, თვარა... და უცებ დაკუმშული მუჭით რევია ზე წამოიჭრა.

იქით აქეთ ატეხილი სიცილი წამსვე მიწყდა, რადგანაც ცოტა რამ კიდევ აუცილებლათ გამოიწვევდა კრივს. საქმე იმაში იყო, რომ დუტუ რევიას გაეზარდა ვირის ჩოჩორი, შეყვარებოდა ის და როცა ვინმე მნახველი მოვიდოდა იმასთან, თავდაპირველათ დუტუ ამ მისი გაზრდილი ვირის ამბავს ჰკითხავდა. ეს გაუგეს ტუსაღებმა და ამაზე ბევრისაგან ბევრი უწმაწური და ცინიკური ხუმრობა ააგეს. და დაბოლოს სიტყვა ,,ვირის“ ხსენებას რევია გამოყავდა მოთმინებიდან. რევია, იოანა და კიდევ ერთი, რომელიც ამ ჟამად იქ არ იყო, უბრალო დამნაშავეები იყვნენ და შემთხვევით დაემწყვდიათ პოლიტიკურებში,

— შენი ბიჭი იყო გიორგი? გადაიტანა მიხამ საუბარი სხვა საგანზე.

— არა, არ ყოფილა.

— ვეტყოდი შე კაცო, მოეყვანათ!

— კაი ბიჭი გყავს გიორგი, ღმერთმა გაგიზარდოს... მოესმა გიორგის უცებ ქერქაძის ხმა, რომელშიც მან იგრძნო იდუმალი მუდარა თანაგრძნობისა და გამხნევებისა.

და გიორგი უცებ ახტა ,,ნარზე“, მოუჯდა ქერქაძეს გვერდში და მხარზე ხელი ჩამოადო. ქერქაძე შეიძრა, თითქოს ფეხზე ადგომა უნდაო.

— იჯექი, იჯექი ნოე! დაუყვავებით უთხრა გიორგიმ.

— იჯექი თვარა და... ვითომ დღე და ღამე არ ვიჯდე ამ ცეცხლის დასაწვავში! ჩაილაპარაკა ნოემ და მადლობით სავსე თვალებით გიორგის შეხედა.

IV

— შენ, ნოე, გული არ გაიტეხო. მართლა სამუდამოთ როდი იქნება ასე? და გიორგის უხარია, რომ ეხლა ,,ბოდიშს“ იხდის ნოეს წინაშე.

* იხ. „ჩვ. ცხ.“ № 1.

ქუთაისის განყოფილება ამხანაგობა პაიებით ს. მ. კირაკოზოვი, ბ. გ. ოგანოვი და ამხ.
გიმნაზიის ქუჩა, საკუთარი სახლი
მთავარი განყოფილება ვლადიკავკაზში. განყოფილებები: ქ. თფილისში, გიორგიევსკში, ანდიჯანში, პიატიგორსკში და გროზნაში.
С. М. КИРАКОЗОВЪ, Б. Г. ОГАНОВЪ и К°
მიღებულია დიდძალი საქონელი სატინა, ბატისტი, ჩესუნჩა, პარუსინა კისეია, ჩითი და სხვა ქსოვილები ახალმოდის არშიებით.
полученъ огромный выборъ Сатины батистовъ, чесунчи, парусины, кисеи, ситца другихъ тканей съ модной каймой. 3—1—

და ამის უფლება წართმეოდა მოიჯარადრეს და მემამულეებს.

ბრძოლა მწვავდება. მოიჯარადრე თან და თან შეურიგებელი მტერი ხდება მოჯამაგირეებისა. მას მუშები უფრო სძაგს, ვინემ მემამულეები.

ამასთან მემამულეც იმის ცდაშია, რომ გააძლიეროს მოიჯარადრე, რომელიც მისთვის უფრო ადვილი დასამორჩილებელია ის, როგორც მონაწილე სამეურნეო ნაწარმოებისა, დაინტერესებულია საქმე-მოიჯარადრესთან ქონდეს.

მოჯამაგირეებში კი ის ხედავს წითელ საფრთხეს, რომელიც დღეს თუ ხვალ მას ბოლოს მოუღებს.

დღიური მუშა ხედავს, რომ წვრილი მოიჯარადრე დღე და ღამეს ერთმანეთში ასწორებს და ამით მას სამუშაოს უკარგავს, ამიტომ ის თხოულობს კოლექტიური იჯარის შემოღებას.

წლითი-წლობით უფრო მწვავდება ეს ბრძოლა. ხდება შეტაკებები მოიჯარადრე გლეხებსა და მოჯამაგირეებს შუა. მოკავთ ჯარი და კარაბინერები და სცხრომათ, იჭერენ, ასამართლებენ! მარა ეკონომიური ინტერესები მაინც თავისას შვრება, და მოქიშპე ელემენტებს შორის მშვიდობიანობა არ მყარდება ამით.

# დეპეშები.

(პ. ტ. ს.).

3 ივლისი.

**რუსეთი.**

**სევასტოპოლი.** სასამართლო პალატამ გლებ შუტკოვს ტოლსტოის ბროშურის "პამიატკა სოლდატა"-ის გამოცემისათვის ციხე მიუსაჯა.

**პეტერბურგი.** შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგის, ხარუზინის მოქმედების შესახებ ცრუ ცნობების გავრცელებისთვის მთავრობამ 1034 სტატიის მე 3 პუნქტის ძალით პასუხის გებაში მისცა გაზ. „გრაჟდანინის“, „რეჩის“, „სოვრემენნოე სლოვოს“ და „რუსკოე ზნამიას“ რედაქტორები.

ოფიციალურათ უარყოფენ გაზეთების ცნობას, ვითომ პეტერბურგის ოხრანის განკარგულებით მოეხდინოთ ჩხრეკა გაზ. „რუსკოე სლოვოს“, „რუსკია ვედომოსტის“ და „გოლოს მოსკვის“ რედაქციებში და ვითომ გენერალი გერასიმოვი აზეფთან მოსალაპარაკებლათ საზღვარ გარეთ გამგზავრებულიყოს.

**პეტერბურგი.** კავკასიის ნამესტნიკის თანამდებობის აღმასრულებელის, გენერალ შატილოვის დეპეშა 1 ივლ. თარილით რუსის ჯარსა და შახსევანებს შორის მომხდარი ბრძოლის შესახებ:

კავკასიის სამხედრო ოლქის მთავარ სარდლის ბრძანების თანახმათ არდებილის საექსპედიციო რაზმი გამართა 26 ივნისს შახსევანების წინააღმდეგ; 28 ივნისს, როცა არჩეულ ალაგას მოწინავე რაზმს საფარს უმზადებდენ, ს. შიხ ახმატში გაიმართა ბრძოლა. შახსევანები რიცხვით სჭარბობდენ რუსებს და ცდილობდენ სრულით ხელი შეეშალათ მოწინავე რაზმისთვის, საფრის მომზადებისათვის დრო არ მიეცათ. მოწინავე რაზმი შედგებოდა სალიანის პოლკის სამი როტისგან ორი პულემეტით, ორი სამთო ზარბაზნით, (მეექვსე სამთო ბატარეის) 52 ბრიგადისაგან და კაზაკთა ლაბინის პოლკის ორი ასეულისაგან; რაზმი სალიანის პოლკის პოდპოლკოვნიკის ტეტრუსევის წინამძღოლობით იცავდა საფარს. ბრძოლა გაგრძელდა შვიდ საათ დილის 12 საათამდე და მოასწრეს იერიშისთვის საჭირო საფარის დამზადება. შახსევანები უკუიქცენ; რუსის მოწინავე რაზმი შეერთდა ჯარს; რუსებს მოუკლეს მე 206 პოლკის ერთი სალდათი და მძიმეთ დაჭრეს ერთიც. შახსევანებს მოუვიდათ დიდი ზარალი და დაკარგეს არა ნაკლებ 30 კაცისა.

**უცხოეთი**

**კონსტანტინოპოლი.** სამხედრო მინისტრათ დაინიშნა მახმუდ-მუხთარ ფაშა.

**თავრიზი.** პოლკოვნიკ ტოლმაჩევისგან გაგზავნილი კაზაკთა მცირეავი რაზმი წააწყდა შახსევანების ბრბოს, რომელმაც ცხარე ბრძოლა აუტეხა მათ. კაზაკებმა ბრძოლა გაუმართეს შახსევანებს ფეზლისთან; რაზმს აგარის გუბერნატორიც მიეშველა ორი დღის ბრძოლის შემდეგ რაზმმა ქერბულაკს მიაღწია. შახსევანები სულ იმას ცდილობდენ, რომ როგორმე ხელთ ეგდოთ სამხედრო მასალით სავსე ყუთები. კაზაკების მხარეზე იბრძოდა შახსევანების წინააღმდეგ რახიმ ხანის შვილი, სერდარ ნუსრეტი თავისი მხედრებითურთ. კაზაკთა რაზმი 1 ივლისს აგარას დაბრუნდა; ორი დღის ბრძოლაში მან დაკარგა სულ 5; დაჭრილთა შორის არის არტილერიის აფიცერი სოტოვი. შახსევანების ზარალი გამორკვეული არაა, საზოგადოთ კი დიდია. რუსების წინააღმდეგ შახსევანებთან ერთათ ხოჯაბეგლებიც იბრძოდენ, რიცხვით 4,000 კაცამდე; როგორც ჩანდა, ბრძოლის დასასრულს შახსევანებს საომარი მასალა შემოაკლდათ.

# პატარა ფელეტონი.

## ქართველი ქალი.

მოთხრობა **ეშმაკუნასი.**

ვრცელის კრიტიკულის წინასიტყვაობით, რომელიც ეკუთვნის, მართალია, ჯერ უცნობ, მაგრამ ფრიად ნიჭიერ ახალგაზდა კრიტიკოსს-მატრაკვეცაძეს. აი ეს წინასიტყვაობაც:

„...დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც ქართულ ლიტერატურაში დაისვა უდიდესი საკითხი, რომლის ასეთი თუ ისეთი გადაწყვეტა ეჭვი არ არის დიდ სარგებლობას შესძენს ქართველ... უკაცრავათ, ეს რაღაც კარგად ვერ გამომდის!.. დიახ, იმას მოგახსენებთ... ერთის სიტყვით ეს საკითხი ფრიად მნიშვნელოვანია და ტრიალებს ქალაქის გარშემო. მოგეხსენებათ, რომ მგონი შარშან ამ დროს ბ. სილოვანმა პირველათ წამოაყენა იგი „ქართველი კალების“ სათაურით. პატივცემული პუბლიცისტი და ფრიად ცნობილი პოეტი ამტკიცებდა, რომ ქართველი ქალი გადაგვარდა, არ ქართველ-დედობსო და სხვა ასეთი. ამ წერილმა დიდი აურ-ზაური გამოიწვია ჩვენი ერის მშვენიერ სქესთა წრეებში. ყველასათვის აშკარა იყო, რომ ბ. სილოვანი მართალს ლაღადებდა და საქმის გამოსწორებასაც შეუდგენ: ჩვენმა ქალებმა რუსულის ლაპარაკს თავი ანებეს და დაეწაფენ მშობლიურ ენას, ლიტერატურას და სხვა ასეთებს. შრომამ თავისი ქნა და ქართველი ქალიც, როგორც ტიპი, შესამჩნევათ გაუმჯობესდა და დაემსგავსა დედას ქართლისას, იმ დედას, რომელიც აგრე შეუქიათ და უდიდებიათ ჩვენი პოეზიის ბუმბერაზებს: ილიასა და აკაკის...

ქართველი ქალის ასეთი რადიკალური ცვლილება არ შეიძლება, რომ მხატვრულ ლიტერატურას გამოპაროდა, იგი აუცილებლივ უნდა აღნიშნულიყო, და ეს ასეც მოხდა! ქართულ ლიტერატურას მოევლინა ფრიად ნიჭიერი და მადლიანი კალამი ბ. ეშმაკუნასი, რომელმაც თავის ნაწარმოებში, რომლის სათაური „ქართველი ქალია“, შესანიშნავის სინამდვილით და ნიჭით დაგვიხატა ახალი ტიპი ქართველი ქალისა, ის ტიპი, რომელიც გამომუშავდა მას აქეთ, რაც ბ. სილოვანმა „კარტველ კალებს“ ულმობელი კრიტიკა გაუკეთა. ჩვენს ავტორს, მართალია, ახალი შინაარსი აქვს აღებული, მაგრამ ფორმა კი სხვისგან აქვს ნასესხები. სახელდობ, ამაში ის ბაძავს ფრიად ნიჭიერ ახალგაზრდას ჯ. ჯორჯიკიას, რომლის რეცენზიულმა შემოქმედებამ შექმნა ეს ახალი ფორმა. რა არის ეს რეცენზიული შემოქმედებაო — იკითხავს მკითხველი. სამწუხაროთ, ჯერჯერობით ამის პასუხს ვერ მოგცემთ... ეხლა კი დასტკბით თვით ბ. ეშმაკუნას ნაწარმოების სიმშვენიერით და სიღრმით. მაგრამ მანამდე კი მიულოცეთ ბ. სილოვანს, რომ აგრე მალე იხილა თავის კალმის ფხაჭუნის შედეგები...

**მატრაკვეცაძე.**

---

## ქართველი ქალი.

„როდესაც ვნახე სია მსურველებისა (ბახმაროზე საექსკურსიოთ), ჩემს სიხარულს საზღვარი არ ქონდა, რადგან ქართველი ქალებიც ჩაწერილიყვენ. ამ გარემოებას საყურადღებო მოვლენათ ვთვლი; მოხარული ვარ, რომ ჩვენს დებსაც შეუგნიათ ის, რაც სხვა ქვეყნებში კაი ხანია ჭეშმარიტებათ გადიქცა“.

გუშინდელი **„კოლხიდა“.**

ქეთო ციური არსება იყო: მშვენიერი ცხვირი, კოხტათ აიალბუზებული, ქონდა ძველი მთვარის მაგვარ სახეზე. თვალები, რომელთ ცხენის საბუზესავით ჩამოფარებოდა წამწამები, ღმერთმანი არ ვიცი რას მოგაგონებდათ. ტანი არც დაბალი ქონდა და არც მაღალი, არც სხვილი, არც წვრილი. ყველაფერი ზომიერი და შესაფერი მიენიჭებია გამჩენს მისთვის.

ასეთი იყო მისი გარეგნული მოხაზულობა, მაგრამ ეხლა მინდა თქვენი ყურადღება მივაქციო იმას, რაც სახელიც ადამიანის შინაგანი მხარეა. აქაც ბედნიერი იყო ჩვენი ქეთო: მისებრ ნორმალურათ განვითარებული მეორე ქალი არ მეგულვება. მაგრამ უნდა გამოგიტყდეთ, რომ ეს განვითარება არც ისე იოლათ შეუქმნია ქეთოს: პირველ ხანებში განვითარებაზე ფიქრი ფეხებზედაც არ ეკიდა, მაგრამ ერთმა განსაკუთრებულმა გარემოებამ, რომელზედაც აქ ვერ მიგითითებთ, ძირიანათ შესცვალა იგი და თვითგანვითარების გზაზედაც მედგრათ გააქანა. მთელი დღე და ღამე წიგნებს კითხულობდა, მოცლილს ვერასოდეს ვერ ნახავდით. ისტორიაში გაგიჟებით უყვარდა სვიმონ ქვარიანი და მოსე ჯანაშვილი, პოეზიაში ჭკუაზე შლიდენ ბ. სილოვანი და გრიშაშვილი, მასხრულ ლიტერატურაში აღმერთებდა კვირიკეს და სამშაბათელას, მხატვრულში—ქედს იხრიდა ჯორჯიკიასა და თეოფილე ხუსკივაძის წინაშე, მქევრმეტყველება მოსწონდა გრ. რობაქიძისა, პუბლიცისტიკა ანვითარებდა ულმობელისა, შოლტისა, ხოლო გონებას უხსნიდა კრიტიკა აკაკი პაპავასი და გ. ქუმბურიძისა. დიახ, ყველა აქ ჩამოთვლილი ავტორები წრთვნიდენ და ანვითარებდენ ქეთოს სულსა და გულს, ამშვენიერებდენ ისედაც მშვენიერ ქმნილებას. და კიდეც შემუშავდა ამ მამულიშვილთა გავლენით ისეთი ტიპი ქალისა, რომელსაც ამდენი ხანია ეძებდა ბედკრული საქართველო...

ერთ ქეთოსათვის უბედურ დღეს უფალმა მისი მშობლები მიირთვა, ანუ უფრო გარკვევით რომ ვსთქვათ, ქეთოს მშობლები დაიხოცნენ, ემპირიულათ მიიცვალნენ, ხოლო მეტაფიზიკურათ იქნებ ცოცხალნიც იყონ. (მკითხველს ვთხოვ არ დამწამოს, თითქოს გ. რობაქიძეს ვბაძავდე). დიახ, დატრიალდა უბედურობა და ჩვენი ქეთოც დაობლდა. ბევრი ივალალა უბედურმა, ბევრი იდარდა, მაგრამ დროთა ბრუნვამ თავისი ქნა და დარდები ცოტათი შეუმსუბუქა. ამ დროს გაიგო, რომ ბახმაროზე ვილაცები საექსკურსიოთ ემზადებოდენ და იმათ რიცხვში ჩაეწერა. ყველა დამეთანხმება, რომ ეს უდიდესი ნაბიჯია ადამიანის ცხოვრებაში, ასეთ გაბედულებას ადამიანი იშვიათად თუ ოდესმე გამოიჩენს. თან ეს იმის დამამტკიცებელია, რომ ქართველი ქალიც გამოდის სამოქმედო ასპარეზზე და შორს არ არის ის წამი, როცა იგი საქართველოს ნამდვილ მამულიშვილებს შესძენს და აღუზრდის. მაშ ვუსურვოთ ჩვენს ქეთოს საქართველოს საბედნიეროთ ბახმაროდან მშვიდობით დაბრუნება...

(შემდეგი არ იქნება).

**ეშმაკუნა.**

# მეოთხე დუმის გარშემო.

(გაზეთებიდან).

**სამღვდელოება და მომავალი არჩევნები.** უწმ. სინოდის პროკურორი, საბლერი არწმუნებს ბიუროკრატიას, რომ მომავალ

---

— ეჰ, სადაც შენისანე კაცები იტანჯება, იქინეი მეც... აფერია! იგი ჯანდაბა და კურმუხეთი დედა ნეტეი არ მყავდეს!.. ნოეს ხმაში ცრემლები გაისმა.

— ჰო და დედა რომ გყავს, მით უმეტეს უნდა იყო მაგრათ, ყოჩაღათ! როცა გამოხვალ, თავისუფალი გახდები, უნდა გამოიტანო თან ჯანი და ღონე...

— ვინ მიესწრება მაგას ბატ... ამხანაგო გიორგი!

გიორგიმ დაიჭირა თავის თავი იმ ფიქრზე, რომ კინაღამ პროპაგანდა დაიწყო, კინაღამ ზოგადი ფრაზებითა და სიტყვებით მოინდომა ადამიანის გამაგრება. და იგრძნო, რომ ეს უალაგო იყო, იგრძნო რომ ქერქაძეს სჭიროდა არა მასწავლებელი, არამედ ამხანაგი, მისი თანამგრძნობელი კაცი, რომლის წინაშე შეეძლო მას ეთქვა ყველაფერი თავის თავის შესახებ. იგრძნო საერთოდ, რომ ქერქაძეს გადაარჩენს ან ასეთი კაცი, ან და ვერავინ ვერ გადაარჩენს. და ასეთი კი არავინ იყო იმ მუშებში, რომლებიც ნოესთან ერთად ისხდენ. აქ შემთხვევით თავი მოეყარათ კაეის გულის პატრონ კაცებს, გამოწრთობილსა და გამოცდილთ და აქაც, სატუსაღოშიც მზავსს ეძებდენ, გაუტეხელი გულის პატრონი კაცი უნდოდათ გვერდში და ვინც არ იყო ასეთი —ასეთი კი არ იყო ქერქაძე— იმას ისინი ზიზღურათ, ამდებით უცქერდენ. ასეთ კაცებთან, ნამდვილ მებრძოლ მუშებთან, ტყუილათ ფიქრობს გულჩვილი, ტანჯვაში შემკრთალი, წარბ-დახრილი კაცი საამხანაგო გზის პოვნას, იმათ გულთან ვერ გაიკაფავს ისინი გზას. თუ საზოგადოთ მებრძოლ კაცებს არ სცალიათ აძიძათ, მუშებს მით უფრო. ის, ვინც ყოველ წუთში მზათ არის არ დაზოგოს სიცოცხლე რწმენისათვის, ის მხოლოდ ხვავს აფასებს—ასეთი კი არ იყო ნოე ქერქაძე. ის შეაშინა, გაუტეხა ...ლი მას ბორკილმა, ოთხი წლის კატორღამ. მოძრაობის მიერ ჩათრეული ქარტეხილში იმ დროს, როცა მოძრაობის ტალღები ყველგან სწვდებოდენ თითქმის, ის ვერ შერჩა მოძრაობას ბოლომდე. და რა გასაკვირია, რომ ამ მოძრაობის ნამდვილი შვილები, მასთან შეზრდილნი და მაზედ შეწირული ტუსაღი მუშები ვერ იქნებოდენ ამხანაგი ნოე ქერქაძისა. ქერქაძე გრძნობდა ამას და იტანჯებოდა, გიორგი ამჩნევდა ქერქაძეს ამას და ებრალებოდა ის. და სწორეთ ამიტომ იყო, რომ მუშა ქერქაძე უფრო მსუბუქად გრძნობდა თავს ინტელიგენტ ადამიანებთან, ვიდრე მუშებთან და კიდეც ამიტომ, როცა წეღან გიორგიმ ისეთი მკვახე პასუხი გასცა იმას, ეს უფრო საგრძნობელი შეიქნა მისთვის, ვიდრე მისი ამხანაგობის დამოკიდებულება.

— თუთუნი ხომ გაქვს, ნოე!

— მაქვს!

— შე კაცო, როცა დაგელიოს შაქარი, თუთუნი და ასეთები, ნუ კი დაგერიდება განა, აიღე სადაც დაინახო. ჩვენ აქ ყველაფერი საერთო გვაქვს.

საზოგადოთ ვისაც ტუსაღობა გამოუცდია და ამასთან სხვა და სხვა ბედნიერი შემთხვევის წყალობით ის სხვა ტუსაღებთან შედარებით უკეთეს პირობებში ყოფილა ჩაყენებული, იმან იცის, თუ რამდენათ უხერხული და ულამაზოა ეს. იმან იცის, რა ძნელია სატუსაღოში კარგი სადილის მიღება, როცა მის გვერდით მეორე, მეათე, მეასე ტუსაღი სანახევროთ მშიერია, ხოლო ფიზიკურათ შეუძლებელია უზიარო სხვებს შენი კერძი. იმან იცის რა ძნელია, როცა შენ კვირაში ერთხელ მაინც ინახულებ ვისმეს, ვინმე გაგიხსენებს, მაშინ როცა მეორე მთელი წლობით ელოდება ჭირისუფალს... იცის იმან—რა ძნელია სატუსაღოში ალერსით სავსე წერილის მიღება, როცა მეორე და მესამე ყველას, ყველას დაავიწყდა. შენ და ის, მეორე, ორივე ერთი საქმის გამო ზიხართ და შენ კი დღეს გემოზე ისადილე, ის კი პურსა დ მყრალ ბორშჩზე იჯდა. შენ მზათ ხარ გაუზიარო ამხანაგებს საჭმელი, საცვლელი, ფული, გაგებული ამბები, ჩუმათ მიღებული გაზეთები, ყველაფერი, ყველაფერი, მაგრამ შენ მაინც გრცხვენია რაღაცა იმის წინაშე, გრცხვენია, რომ შენ გყავს გარეთ ისეთი პირი, რომელსაც ახსოვხარ და შეუძლია ეს ხსოვნა მატერიალურათ დაგიმტკიცოს. იმას კი, შენს ამხანაგს, არ ყავს ასეთი, ან თუ ყავს—არ შეუძლია დაეხმაროს. დ გრცხვენია შენ, რომ ვერ გაუზიარებ იმათ იმ სიყვარულს, რომელსაც მხოლოდ შენდამი გრძნობენ, იმ დამოკიდებულებას, რომელიც შენ გაქვს...

და განსაკუთრებით ასეთ უხერხულებას გრძნობდა გიორგი, როცა ქერქაძეზე ფიქრობდა. გიორგისთან მოდიან, გიორგის წერილს სწერენ, გიორგის ფულს უგზავნიან, ის კითხულობს, ფიქრობს, ის ნაკლებათ გრძნობს სიობლეს... ვინ მოდის ქერქაძესთან, ვინ ეხმარება მას? და ვის უფრო სჭირია დახმარება? მართალია, გიორგის თვისი ცოლი არჩენს საკუთარი შრომით, ის ეხმარება, მაგრამ მაინც... ძნელია, როცა გრძნობ შენს გვერდში შენზე უფრო უბედურ ადამიანს, ძნელია!

— ჰო და მაშ აგრე ნოე... ნუ დაგერიდება! მოხუცია, ნოე, დედა შენი?

— იქნება სამოცი წლის.

— მე კი როდი მყავს დედა, ნოე... გნახა მან რაც სატუსაღოში ზიხარ?

— რაფერ მნახავს—ერთი თუმანი გზის ფულათ არ ეყოფა... გიორგი, შენ დასთურ არ გეგონოს!..

— რა, ნოე?

— რაი და იგი.

— რა იგი, შე კაცო?

— აი აგენი რომ მცინიენ.

— ვინ გცინის? არავინაც არ გცინის!

— კი მცინიენ გიორგი... გონიენ არ ვარ მე მუშების პარტიის.

— ნოე, ესენი ხუმრობენ მხოლოდ.

— მე მითაჟამში არ ვუღალატებ მუშებს..

— ნოე, მართლა არ იფიქრო, ესენი ხუმრობენ! კიდევ გაუმეორა გიორგიმ. თუ ამ მოწყენილობის დროს არც იხუმრეს, აბა რა ქნან შე კაცო? არა, ღმერთმანი შენ აქ არავინ გემტერება!

ქერქაძე მიყუჩდა. ტუსაღებს ზოგს მართლაც არ გაუგონია ეს საუბარი, ზოგმა კი თითქოს ვერ გაიგონა...

ვიღაცამ ღიღინი ამოჰკიდა. გაიშხლართა თავით კედლისკენ, ფეხები ძირს გადმოჰკიდა, ამოიდო თავ ქვეშ ხელები, შეაშტერდა იატაკს და აღიღინდა. იმას აყვა მეორე, მესამე—და დაბალი ხმით გაიმართა მწყობრი, ლამაზი სიმღერა.

და უცებ მოაგონდა გიორგის, რომ მის ჯიბეში ძევს ჯერ კიდევ წაუკითხავი წერილი. წამოხტა ზედ, მიირბინა სათვალურთან—იქ არავინ იყო. მოუბრუნდა სტოლს, გადაშალა რომელიღაც წიგნი და გაშლილი წერილი ჩადო შიგ, და თითქოს წიგნს კითხულობსო, შეუდგა წერილის კითხვას.

V.

გადაავლო გიორგიმ წერილს თვალი, ზიზღურათ, საჩქაროთ გადაიკითხა ის და უცებ გაკვირვებით გაიხედ-გამოიხედა. ირგვლივ კი ყველაფერი ჩვეულებრივი იყო—ტუსაღები—ზოგი იწვა, ზოგი იჯდა, რამდენიმე კაცი ღიღინებდა-ყველაფერი ჩვეულებრივი იყო და შეაჩერა მან თვალი მარჯვნით, კუთხეში სანახევროთ კედელზე მიწოლილ ახალგაზრდა ტუსაღზე, რომელიც, რაც გიორგი დაბრუნდა კანცელარიიდან იჯდა ერთ ალაგს და არავითარ მონაწილეობას არ იღებდა საუბარსა და ხუმრობაში. ედო იმას მუხლებზე სქელი, სქელი წიგნი და ერთგულათ ჩასცქეროდა მას—არც კი ახსოვდა, რომ მის გვერდში ცოცხალი არსებები ხმაურობდენ. ეს იყო ილიკო სიამაშვილი, გიორგის ძლიერ მახლობელი ამხანაგი და მეგობარი. შეაჩერა იმაზედ თვალი გიორგიმ და თითქმის გაუკვირდა, გაუკვირდა რომ ეს კაცი აგრე დამშვიდებულათ ზის და წიგნს კითხულობს. ერთ წუთას ფიქრობდა ის ამაზე, მაგრამ წამსვე შეაბრუნა პირი დახედა წერილს და ეხლა უფრო დაკვირებით, უფრო ბეჯითად შეუდგა კითხვას. გადიკითხა და ისევ გაიხედ-გამოიხედა.

და თუმცა ბუნდოვანათ იგრძნო, რომ ის, რაც ამ წერილში ამოიკითხა, იყო არაჩვეულებრივი და მოულოდნელი, მაგრამ გარკვევით, შეგნებულათ არაფერი ესმოდა. მთელი მისი არსება გრძნობდა რაღაც დიდს, მაგრამ ეს გრძნობა ვერ პოულობდა ჯერ კიდევ საშვალებას სავსებით, ნათლათ ჩამოსხმულიყო იმის შეგნებაში, ხილული გამხდარიყო გიორგისთვის. ინსტიქტიურათ შეიხსნა მან ხალათის საკინძე, თვალები ამოიფშვნიტა, თმა გაისწორა, და ისევ გადაიკითხა წერილი.

ახირებული რამ ეწერა იმ წერილში, მაგრამ რაში იყო საქმე, ჯერ კიდევ ვერ გაიგო. იქ ეწერა, რომ ნინა არ არის ღირსი გიორგის სიყვარულისა. ახირებულია, მა რა არის! უსინდისო, უნამუსო ქალია ნინაო, ნინა სწერდა ამას: ძნელი იქნება შენთვის ამის გაგება, მაგრამ დაფარვა რამის შენს წინაშე ზედ მეტი შეურაცხყოფა იქნება შენიო...

—Что за вздоръ! უცებ წამოიძახა მან რუსულად, როგორც ეს ჩვეულებათ ქონდა, როცა განსაკუთრებულ რამეს გაიგებდა, ან შეემთხვევოდა — და ერთხელ კიდევ გადიკითხა წერილი.

**გერი.**

(გაგრძელება იქნება)

კუთხე, საკუთარი „ლონდონი“. რიის გვერდზე. 5—თ. სისტი, ჩვენ მიერ ... ხსენებები ეფრე- რა თფილი კუთხე გაიხსოს ფუსფუსებს, ქვის მტვერის სამძიმი გახდენ. ამიტომ,

სავაჭრო სახლი ი. გოკიელის შვ-ბის სავაჭრო სახლი
ამით აუწყებს პა-ივცემულ საზოგადოებას — ვინაიდან საზღვარგარეთისა და რუსეთის პირველ ხარისხოვან მწარმოებლებთან შეღავათიანი პირობებით არის შეკრული, შესაძლებლათ სცნო შეამციროს დასწიოს ფასი
საწერ და კანცელარიის საჭირო ნივთებზე.
ახალი პრეისკურანტები კანცელარიებს მუქთად დაურიგდება. მ.—1—4

? დავით ქევხაძე ? მ—1—4.

მყიდველების საყურადღებოთ
სავაჭროში ძმ. ფ და ლ. ფილიპოვების სავაჭროში
ქუთაისში, მიხაილოვის ქუჩა ძმ. გოკიელოვების სავაჭროს გვერდით იყიდება შემდეგი საქონელი: ფარფორის, ფაიანსის, შუშეულის ნივთები, ყოველგვარი ლამპები, ემალიანი ჭურჭლები, სამზარეულოს ფეჩები და სპირტოვკები, სამოვრები, უთოები, მელხიორის ნივთები, ყოველგვარი კრაოტები, გიტარები, კლიონკები, სკამები და პირ-საბანები და სხვა.
დიდი კოლექცია ბავშვების სათამაშოების და ბევრი სხვა და სხვა საფეშქაშო ნივთების
პარტიით მყიდველთა საყურადღებოთ აქვე იყიდება დიდ-ძალი საპარტიო ყოველ გვარი ფაიანსის და შუშეულის საქონლები, ფასები შესამჩნევად დაკლებულია. მ—1—4

დუმაში უთუოდ ასი მღვდელი იქნება დეპუტატათ.

— კურსებში არქ. სტეფანემ ბლაღოჩინებს გამოუცხადა: თუ ვინიცობაა მომავალ არჩევნებში ვინმეს მემარცხნობა შეატყოთ, მაშინვე მაცნობეთო.

— ვიტებსკის ეფისკ. ნიკოდიმმა ცირკულიარით მიმართა ბლაღოჩინებს, რომ დუმის საარჩევნო სიებში არც ერთი მღვდელი, დიაკონი ან მასწავლებელი არ შეიტანონ.

— მღვდლების მწოდების შესახებ გაზეთებში გლეხები ამბობენ: აქამდის არ ყოფილა დუმაში ხეირი, თორემ ახლა სულ წასულია მისი საქმეო.

**ვექილების მოწოდება.** ქ. მიტავის ვექილების ერთმა ჯგუფმა ამრჩეველთა საყურადღებოთ მოწოდება გამოუშვა, რომლითაც აცხადებენ, რომ ყოველ წუთს მზათ არიან მისცენ მსურველთ დარიგებანი დუმის არჩევნების შესახებ.

**ოქტომბრისტების დეზორგანიზაცია.** ოქტომბრისტების პარტიის ცენტრალურ კომიტეტს ერთობ უნუგეშო ცნობები მოსდის პროვინციებიდან: თავრიდის, ხერსონის და ხარკოვის გუბერნიებიდან იტყობინებიან, რომ სისუსტის გამო საკუთარის ძალებით ვერ ვაწარმოებთ არჩევნებსო. სხვა გუბერნიებში ადგილ-ადგილ ისე მცირე ყოფილა მათი რიცხვი, რომ საარჩევნო კომიტეტებიც ვერ შეუდგენიათ.

**რკინის გზის მოსამსახურენი.** კიევიდან „რუს. სლოვას" ატყობინებენ, რომ, რადგან რკინის გზის მოსამსახურეთა რიცხვი ერთობ საგრძნობელია, — (ოთხი ათასამდე) — მათ შეუძლიათ გამარჯვება პროგრესისტებს არგუნონ, მაგრამ ზემდგომლებს კი ისინი არ თანაუგრძნობენ.

**ხუცების იმედები.** იმავ გაზეთის იქიდანვე ატყობინებენ, რომ ჩერკასკში ხუცებს საეპარქიო კრებაზე გამოუთქვამთ ის აზრი, რომ არავის არ შეუთანხმდენ არჩევნებში, ვინაიდან გამარჯვების იმედი ქონებიათ; იმედობენ ექვსი დეპუტატის გაყვანას.

**საარჩევნო სიები.** პალტავაში უკვე დასრულებულა საარჩევნო სიების შედგენა.

# რუსეთი.

(გაზეთებიდან)

**ლენის რევიზია.** როგორც ირკვევა, სენატორი მანუხინი სამართალში მისცემს ლენის ამხანაგობის ადმინისტრაციას და გუბერნატორ ბანტიშევს, რომლის უმოქმედობამ ასეთი მწვავე შედეგი მოიტანა.

**რასპუტინი.** პეტერბურგში დაბრუნდა ცნობილი რასპუტინი, რომელმაც ისევ აღადგინა უმაღლესი სფერების ნდობა.

**ახალი პროგრამები.** მომავალ სამოსწავლო წლიდან შემოღებული იქნება ახალი პროგრამები გიმნაზიებსა და რეალურ სასწავლებლებში. ამ პროგრამებით გაფართოვებული იქნება რუსული ენისა და სიტყვიერების სწავლება.

**გაფიცვები.** პეტერბურგში 18-დან 25 ივნისამდე შვიდი ახალი გაფიცვა მოხდარა. მოსკოვშიც ბლომათ არიან გაფიცული მუშები. გარდა ამისა გაფიცვები იყო ტულაში, იაროსლავში, არეხოვო-ზუევოში, რიგაში და სხვაგან.

— პეტერბურგში გაფიცული არიან სიმენსკის და გალსკეს ამხანაგობის მუშები; მათ კრებაზე (800 კ.) გამოირკვა, რომ ადმინისტრაციას მათ სათვალთვალოთ, რადგან ჯაშუშები არ ასვლია, ხულიგანები დაუქირავებია. ამავე კრებაზე მუშებმა რეზოლიუცია გამოიტანეს: მოითხოვენ დატუსაღებულ ამხანაგების განთავისუფლებას.

— რიგაში „სალამანდრას" მუშებმა გაფიცვით 10 პროცენტი ხელფასი მოამატებინეს ადმინისტრაციას.

**ჯარების სანიტარული მდგომარეობა 1911 წ.** სამხედრო მთავრობამ ამ სათაურით წიგნი გამოსცა. აი რას ამბობენ შიგ მოყვანილი ცნობები: საანგარიშო წელს ავათ გამხდარა 26,402 აფიცერი; მათ რიცხვიდანვე მომკვდარა ბუნებრივი სიკვდილით 365 კაცი, უბედურის შემთავევით 32, თავი მოუკლავს 90. სულ მომკვდარა 1911 წ. 487 აფიცერი. სალდათებიდან იმავ წელში ავათ გამხდარა 497,572 კ., მომკვდარა 5,186, ამათგან 347 თავი მოუკლავს, 478 უბედურ შემთხვევას უმსხვერპლია.

**ტუსაღის დაჭრა.** ბაქოში ციხის დარაჯმა სალდათმა ბერდანის ტყვიით დაჭრა ტუსაღი, რომელიც ქუჩაში გამვლელს ელაპარაკებოდა.

**მესამე დუმის ხუცები.** რომ მომავალ არჩევნებში მღვდლები უფრო წახალისდენ და მოქმედ პირებათ გამოვიდენ, მთავრობამ მესამე დუმის მემარჯვენე ხუცებს ჯილდოთ ჩინ-ორდენები ð მშვენიერი ადგილები მისცა; ხოლო უფრო მემარცხენეთ კი — სჯის.

**შანიავსკის სახელობის უნივერსიტეტი.** ეს უნივერსიტეტი თანდათან იზრდება, ფართოვდება და საზოგადოების ყურადღებას იპყრობს. ამის მიზეზია ის, რომ მას პროფესორებათ საუკეთესო ძალები ყავს. ახლა კიდევ გაამრავლეს მათი რიცხვი. მომავალ წლიდან ლექციებს იკითხვენ: კაკოშკინი, ბულგაკოვი, მინაკოვი, კისტიაკოვსკი, კაბლუკოვი და ვასიუტინსკი. ამასთანავე ენკენისთვიდან უნივერსიტეტი გადადის საკუთარ ახალ გრანდიოზულ შენობაში.

**უვადო კატორღა.** ოდესაში სამხედრო სასამართლომ გაარჩია სალდათის სოკოლოვის საქმე, რომელსაც ბრალდება ჯარებში მთავრობის საწინააღმდეგო და აჯანყების გამომწვევი მოქმედება. სასამართლომ სოკოლოვს უვადო კატორღა მიუსაჯა.

**მოსკოვის უნივერსიტეტში.** მოსკოვის უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტზე ყოფილა 2,000 ადგილი, ჯერჯერობით ოთხი ათასი თხოვნა შეუტანიათ. თხოვნები მიიღება 1 აგვისტომდე.

**შკოლის გარეშე თვალყურის დევნება.** კიევის პოლიციას ბრძანება მიეცა თვალყური ადევნოს, რომ საშვალო სასწავლებლის მოსწავლენი საღამოს რვა საათის მერე ქალაქის ბაღებში არ დასეირნობდენ, ხოლო 10 საათის შემდეგ კი ქუჩებში. ასეთი დადგენილება სამოსწავლო ოლქის სკოლის გარეშე თვალყურისმგდებელ კომისიას გამოუტანია.

**სასამართლოს შეცდომა.** 1908 წ. ვარშავის სამხედრო სასამართლომ ორ მუშას სტრაჟნიკზე დაცემისათვის სამუდამო კატორღა მიუსაჯა. ახლახან გამოირკვა, რომ სასამართლოს შეცდომა ჩაუდენია — ნამდვილი დამნაშავე სხვა ყოფილა. სასამართლომ ხელახლა განიხილა ეს საქმე და უდანაშაულოთ დასჯილნი გაამართლა.

**ბურცევი.** ცნობილმა ბურცევმა საზღვარგარეთელ „ბუდუშჩეეში" კიდევ გამოამჟღავნა პროვოკატორი მათე სოტნიკოვი; იგი ანარქისტი ყოფილა, რამდენსამე ექსპროპრიაციაში მონაწილეობა მიუღია და ამასთან განსვენებული სტოლიპინის „თანამშრომლათაც" ბრძანებულა.

# დაბა-სოფელი.

**ს. ლანჩხუთი** ამ რამდენიმე თვის წინათ შეიარაღებული მძარცველთა ჯგუფი თავს დაესხა ადგილობრივ მოვაჭრეს ნესტ. ოდილავაძეს; წაართვეს ფული და საქონელი, მძარცველების კვალს მალე მიაგნეს, დაიჭირეს და ოქმი შეუდგინა ადგილობრივმა პოლიციამ. ჯერ ისინი დარაჯების მცველების ქვეშ ადგილობრივ ბოქაულს გაუგზავნა, მაგრამ მალე შეიცვალა გადაწყვეტილება: მამასახლისის ბ. სულავას (ახლა გადაყენებულია) თავხედობის წყალობით ნამდვილი ყაჩაღები გზაში უკანვე დააბრუნეს და გაათავისუფლეს. ამ ამბავმა ხალხი მეტათ გააოცა და თან აადელვა, მარა მამასახლისის წინააღმდეგ ვერაფერი თქვა. როგორც გამოირკვა, ბ. მამასახლისს საკმაო ქრთამი აეღო და ამიტომ გაათავისუფლებია ეს ყაჩაღები. ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, დაიფიცურდა ყველა, ვისაც ინტერესებსაც შეეხებოდა და აურჩიეს „დანოსი" ვისთანაც ჯერ იყო და ამ გზით ბ. სულავა თანამდებობიდან გადააყენებიეს. ამ ვაჟბატონს სხვა ბევრი დანაშაულობაც ბრალდება: მაგალითად, სოფლის ფულის გაფლანგვა, ქრთამის აღება, ყაჩაღების მფარველობა და სხვა, მარა გამკითხავი ვინაა?

ქვიტირელი.

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესათ გთხოვთ — „ჩვენი ცხოვრების" მახლობელ ნუმერში ადგილი დაუთმოთ შემდეგ წერილს. გაზეთ „კოლხიდის" 87 ნუმერში მთხოვს ვანო კალანდაძე დავუმტკიცო, რომ ის ღირსი იყო იმ სახელის, რომელიც მე მას ვუწოდე თანახმა ვარ, მხოლოდ საბუთები ყველა ხელთ არ მაქვს. ერთმა ჩემმა მახლობელმა ამხანაგმაც კარგათ იცის ამ საქმის შინაარსი; ის ამ ხანათ ქუთაისში არ იმყოფება და როცა ჩამოვა, მე თვითონ შევატყობიებ ვანო კალანდაძეს და მერე, როცა უნდა, მაშინ დამინიშნოს სასამართლო. ვთხოვ აგრეთვე ბ. კალანდაძეს თავის მხრით დასახელებული მედიატორე ერისტო ქავქანიძე გამოსცვალოს და მის ნაცვლათ სხვა დაასახელოს.

პატივისცემით **ბაგრატ ბუილიშვილი**

ბ. რედაქტორო!

ნება მომეცით თქვენი გაზეთის საშვალებით პასუხი გავცე ბ ი. გაბილაიას.

გაზ. „კოლხიდაში" (მარტი № 55) დასტამბული იყო კვათანის სავაჟო სკოლის მასწავლებლების წერილი, რომლითაც სამედიატორო სამართალში ვიწვევდით „კოოპერატორს" (აბაშის კორესპონდენტს) და ი. გაბილაიას ცილის წამებისათვის. მას შემდეგ განვლო სამმა თვემ — და არც „კოოპერატორს" და არც ი. გაბილაიას კრინტიც არ დაუძრავთ. ახლა კი, როცა თითქმის არც ერთი მასწავლებელი არ არის აბაშაში, ბ. ი. გაბილაია გვიცხადებს თანხმობას (გაზ. „კოლხიდა" 15 ივნისი № 73) და თან ვადას გვიდებს (5 დღეს). მარა ჩვენთვის ამის შესრულება დღეს შეუძლებელია, ვინაიდან მასწავლებლები სხვადასხვა ადგილას არიან დაფანტული. ჩვენ გულით გვსურს სამედიატორო სასამართლო შესდგეს. სწორეთ ამიტომ გამოგიწვიეთ სამართალში და თუ თქვენც გულწრფელათ გსურთ საქმის გარჩევა, მოიცადეთ ენკენისთვემდი, როცა ყველა მასწავლებელი თავს მოიყრის. მაშინ ედიატორებსაც ავირჩევთ და მათ განაჩენსაც გაზეთში გამოვაქვეყნებთ.

კვათანის სკოლის მასწავლებელი

დ. გოგიავა.

რედაქტორ-გამომცემელი

ა. სულაქველიძე.

## მატარებელთა საზაფხულო მიმოსვლა.

18 აპრილიდან 1912 წ.

(საათი აღნიშნულია ქუთაისის დროით).

### ქუთაისიდან გადის:

**თფილისაკენ:** ჩქარი № 31, 1 ს. 34 წ. ღამით, სახალხო № 33. 4 ს. 40 წ. ღამით, ფოშტ. № 35 1 ს. 50 წ. დღით.

**ბათომისაკენ:** სახალხო № 31 1 ს. 34 წ. ღამით, ჩქარი № 33 4 ს. 40 წ. ღამით, ფოშტ. № 37 5 ს. 46 წ. საღამ.

**ფოთისაკენ:** სახალხო № 31 1 ს. 34 წ. ღამ., სახალხო № 33 4 ს. 40 წ. ღამ., სახ. № 25 5 ს. 14 წ. საღ., ფოშტ. № 37 5 ს. 46 წ. საღ.

**შორაპნისაკენ:** სახ. № 29 4 ს 45 საღ.

**ტყიბულისაკენ:** სახალხო № 42 4 ს. 5 წ. საღ., სახალხო № 104 7 ს. 50 წ. დილ.

### ქუთაისს მოდის:

**თფილისიდან:** სახალ. № 32 3 ს. 24 წ. ღამით, სახალხო № 34 6 ს. 34 წ. დილ., ფოშტ. № 38 7 ს. 16 წ. საღ.

**ბათომიდან:** სახალხო № 32 3 ს. 24 წ. ღამით, სახ. № 34 6 ს. 34 წ. დილ., ფოშტ. № 36 3 ს. 11 წ. დღით.

**ფოთიდან:** სახ. № 34 6 ს. 34 წ. დილ., ფოშტ. № 36 3 ს. 11 წ. დღ., სახალ. № 26 9 ს. 55 წ. დილ.

**შორაპნიდან:** სახალ. № 27 9 ს. 26 წ. დილ.

**ტყიბულიდან:** სახალ. № 41 11 ს. 9 წ. დილ., სახალ. № 103 7 ს. 30 წ. საღამ.

სახალხო გაზეთი ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო
მიიღება ხელის-მოწერა 1912 წლისათვის.
ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1912 წელსაც გაზეთს ექნება
სურათებიანი დამატება
(კვირაობით)
პრემიად 1912 წლის ხელის მომწერთ მიეცემათ გრდემლი
ქართულ სიტყვა-კაზმულ საზოგადოების კრებულის პირველი ტომი,
რომელიც „სახალხო გაზეთის" რედაქციამ სრულ საკუთრებად შეიძინა.
კრებული „გრდემლი" დაახლოვებით 500 გვერდიანი იქნება, იბეჭდება და ხელის-მომწერთ იანვარშივე დაურიგდება.
გაზეთის ფასი წლიწადში 8 მ. და 50 კ. ცალკე № შაურად. დამატებიანი 7 კაპ.

| 12 თ. | 11 თ. | 10 თ. | 9 თ. | 8 თ. | 7 თ. | 6 თ. | 5 თ. | 4 თ. | 3 თ. | 2 თ. | 1 თ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8.50 | 8. | 7.50 | 6.75 | 6. | 5.25 | 4.50 | 3.75 | 3. | 2.25 | 1.50 | .75 |

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.
ადრესის გამოსაცვლელი ფასი ტფილისისა ტფილისს გარედ, ან ტფილისის გარეთისა ისევ ტფილისის გარეთისაზე 40 კაპ.
დანარჩენ შემთხვევებში უფასო.
ექვსი შაური უნდა გადიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც სურს კრებული „გრდემლი" მიიღოს ფოსტით. ქუთაისისა, ბათომისა, სოხუმისა, ფოთისა, გორისა და თელავის ხელის მომწერნი მიიღებენ პრემიას ადგილობრივ აგენტთაგან.
წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი 8 მან. 50 კაპ. შეუძლიანთ გადაიხადონ ნაწილობით მხოლოდ შემდეგ ვადებზე უნდა იყოს გადახდილი: ხელის მოწერისათანავე 3 მ.; 1 მარტამდის 2 მ.; 1 მაისამდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ივლისამდე.
გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1912 წლის გასულისა.
ხელის მოწერა მიიღება:
1) „სახალხო გაზეთი"-ს კანტორაში, (სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან).
2) ქ. შ. წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში.
3) ფოსტით: Тифлисъ, газ. „Сахалхо Тазети". П. Ящ. 180.
წიგნის მაღაზიების საყურადღებოდ:
წიგნის მაღაზიებს, რომლებიც მიიღებენ ხელის მოწერას საკომისიოდ მიეცემა 5%.

მდინარე ფაზისის პირათ, თეთრ ხიდთან
გაიხსნა საზაფხულოთ
მიტროფანე ლალიძის და ამხ-ის
ხელოვნური სამკურნალო და ხილეულობის წყლის
წვრილათ სავაჭრო
სადაც ხილეულ-მადნეულ წყალს გარდა იყიდება საუკეთესო ქარხნის ლუდი, რძე, შოკოლადი, ნაყივნი და სხვა. მ—1—4.

ელექტრო-საბეჭდავი ფერაძისა და კარნაუხოვის, ქუთაისში.